




15/11 7
212




ნახ. ი. ბეჟაშვილისა

ლაპარაკობს ცოცხალი საქმე

— ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე გუშინ ამომჩიველთა კრებაზე მოსხენებით გამოვიდა, მაგრამ თავის თავზე ერთი სიტყვა არ უთქვამს.
— რა საუბროა? კარგ თავმჯდომარეზე მის მიერ გაკეთებული საქმე ლაპარაკობს.

ნახ. ი. კალაძისა



— შენ პატარა ხარ, კირიმე, წადი, თორემ შეგცეცავა. ამ ყინულზე ხელს მე მოვითბობ!

საარჩევნო უბანთან

საარჩევნო უბანთან, სხვა მოქალაქეთა შორის, ორი ახალგაზრდა განსაკუთრებულ საუბარშია გართული:

- დიდი იღბლიანი კაცია, ჩვენი თედო!
- აბა თედო?
- ჩვენი, დეპუტატად რომ ვასახელებთ...
- იღბალი რა შუაშია, იღბლიანი კი არა, ენერგიულია, ყოჩაღი!
- თუ გინდა ფერმის გამგეობიდან დავიწყოთ. ხომ გახსოვს, ოცდათვრამეტში ფერმის გამგედ რომ იყო.
- როგორ არა, კარგახანს შერჩა ფერმას.
- საკმაო ხანს, მერე, არ გახსოვს პირუტყვის ნამატი რამდენი მიიღო? ჯილდოც ხომ მისცეს!
- ჯილდო კი მახსოვს, მაგრამ ნამატი რა ვიცი, ალბათ ასი პროცენტი!
- ასე კი არა ასორმოცი!
- იღბალი აქვს მეთქი, რასაც ხელს მოკიდებს, ერთიორად გამოუღდის. აი, თუნდა ფრონტის ამბავი აიღე!
- იქ რაღა მოხდა, თუ იმას ამბობ, რომ ცოცხალი გადარჩა, მაგისტანა იღბლიანი ხომ ჩვენცა ვართ!
- მაგას არ მოგახსენებ, ორი ორდენი რომ ერთ დღეს მიიღო, ეგ ამბავი ხომ იცი!
- არა...
- ხო... აი, იღბალი მაგასა ჰქვინან!
- რა გააკეთა ასეთი!
- დაზვერვაზე იყო და ტყვედ მტრის პოლკოვნიკი ჩაიგდო, აი, ის პოლკოვნიკი, რომლის საშუალებითაც თედოს ნაწილმა მოწინააღმდეგე დაჯგუფების მთელი საიდუმლოება გაიგო და იმავე

დღეს ორი ქალაქი ჩაიგდო ხელში. ტყვე პოლკოვნიკი რომ შტაბში მიიყვანა, ამ დროს შტაბის ხელმძღვანელობას წინააღმდეგ ჩადენილ გამირობისათვის თედოსთვის უკვე გაემზადებინა ორდენი.

- მერე?
- მერე და ხომ გეუბნები, ყველა საქმე ერთიორად გამოუღდის მეთქი, ახალი გამირობაც დაემატა და ერთ საათში ორი ორდენი მიიღო!
- მართალია, მანდ მარტო შემთხვევა არ არი. როლს თამაშობს თედოს ვაჟკაცობაც, მაგრამ ყოველთვის ხომ ასე არ გამოვიდოდა?
- რატომაც არა, თუ გინდა წლებადღელი მოსავლის ამბავი აიღე.
- ჰექტარზე ოცი ცენტნერის პირობა დასდო და ოცდათვრამეტი მიიღო.
- ხომ არის ერთიორად!
- ცოტა აკლია.
- რაღა აკლია, მან თორმეტ ჰექტარზე თქვა და თვრამეტზე მოიყვანა. კიდევ აკლია?
- აკლია კი არა, ზედმეტიც არის... მართლა ერთიორად გამოუღდის ყველაფერი, მაგრამ აი, ამ არჩევნებში რა მოგახსენო...
- აქ რაღაა!
- რა და აქ ხომ ერთიორად ვერ გამოუვა ხმების რაოდენობა. დიდი, დიდი ამომრჩევლთა ასმა პროცენტმა მისცეს ხმა, მეთქი ხომ შეუძლებელია!
- ეჰ, ჩემო კარგო, ყველაფერს, რაოდენობის გარდა ხარისხიც გააჩნია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თითოეული საბჭოთა მოქალაქის, თითოეული ჩვენი ამომრჩევლის ხმა ათჯერ მეტს მაინც უდრის უცხოელ ამომრჩეველზე, რადგან ჩვენი ამომრჩეველი შესყიდული არ არის, მაშინ ჩვენს თედოს ხმების რაოდენობა ერთიორად კი არა, ერთიათად გამოუვა!



გუბერნატორის პრეპნეები

რამდენიმე თვის წინათ დამოუკიდებელთა პარტიამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე. დანარჩენმა ორმა პარტიამ მისტერ სტიუარტ ვუდფორდისა და მისტერ ჯონ ჰოფმანის კანდიდატურები წამოაყენეს.

მე მესმოდა მათთან შედარებით ჩემი უპირატესობა და გულში ვტკბებოდი კიდევაც ამ უპირატესობის შეგნებით. მაგრამ იმის ფიქრი მიჩრდილავდა ამ ბედნიერებას, რომ ჩემს სახელს ამ ობრების სახელების გვერდით დააყენებდნენ. ამ ფიქრმა იმდენად შემეწუხა, რომ ბოლოს ავდექი და ამის შესახებ ბეზიჩემს მივწერე წერილი.

მან მაშინვე მიპასუხა. ბებია მწერდა: „მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში არც ერთხელ უსინდისობა არ ჩაგიდენია. არც ერთხელ! ამავე დროს წაიკითხე გახეთები და გაიგებ, თუ რა ხალხია მისტერ ვუდფორდი და მისტერ ჰოფმანი. შენ თავად განსაჯე გეკადრება თუ არა იმდენად თავის დამცირება, რომ მათ საჯაროდ შეგებრძოლო“.

მეც სწორედ ეს დარდი მაწუხებდა. [მაგრამ ბოლოსდაბოლოს გადავწყვიტე, რომ უკანდახევა უკვე გვიან იყო. ამომჩვენებმა სრული ნდობა გამომიცხადეს და მეც ბოლომდე უნდა მეგრძოლა.

დილით საუზმეს რომ შევეტეოდი, გახეთების ზერელეთ გადათვლიერებისას, შემდეგ შენიშვნას წავაწყდი: „ცრუმოწმობა. — გუბერნატორობის კანდიდატმა მისტერ მარკ ტვენმა იქნებ ახლა მაინც ინებოს საჯაროდ აღიარება იმისა, თუ რა პირობებში იქნა მხილებული იგი 1863 წელს ქალაქ ვაკავაკის ოცდაათობმეტი მოწოდის მიერ, როგორც ყალბი ჩვენების მიმცემი. იგი ვალდებულია განმარტოს ეს ამბავი. მაგრამ გაბედავს კი იგი ამაზე?“

გაოცებისაგან თვალები გამომგაკაღე. როგორი ტლანქი, უსინდისო ცილისწამება! მე არასდროს ვაკავაკში არ ვყოფილვარ, მასზე წარმოდგენაც არ მქონდა, ბრაზისაგან გავცოფდი, მაგრამ რა მექნა?

მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ეს გახეთი „სახიზლარ ფიცის დამრღვევს“ მიწოდებდა.

მალე ამას მეორე გახეთის შენიშვნა მოჰყვა: „სა სურველია გავიგოთ,—ინებებს თუ არა გუბერნატორობის ახალი კანდიდატი, განუმარტოს ამომჩვენებებს ერთი გაოცებუბა: მართალია თუ არა, რომ მონტანის ბარაკში [მასთან ერთად მცხოვრებ ამხანაგებს ეკარგებოდათ წვრილმანი ნივთები, რომლებიც შემდეგ აღმოჩნდებოდა ხოლმე ან მისტერ ტვენის ჯიბეებში, ან მის „ჩემოდანში“ (ძველ გახეთში, რომელშიც იგი თავის ქონებას ინახავდა).“

ამაზე მეტ საძაგლობას განზრახ ვერ მოიგონებ! მე ხომ არასდროს არ ვყოფილვარ მონტანაში!


[ამ დღიდან ეს გახეთი დაჟინებით მეძახდა „მონტანელ ქურდ ტვენს“].

მე უკვე შევეჩვიე გახეთის გაშლას დაშინებულის სიფრთხილით ისე, როგორც ალბათ ის კაცი სწევს საბანს, რომელსაც იმის ეჭვი აქვს, რომ ლოგინში სადაც უზამიანი გველი იმალება.

ერთხელ თვალში ასეთი შენიშვნა მეცა: „ცილისმწამებელი გამომეუღლებულია!—მაილ ოფლანგანმა ფაივ-პონტილიდან, მისტერ კიტ ბერსმა და მისტერ ჯანალენმა უოტერ-სტრიტიდან ერთკვამ მისცეს ჩვენება, რომელიც ადასტურებს, რომ მისტერ ტვენის მტკიცება, თითქოს ჩემი ლიუსული კანდიდატის ჯონ ტ. ჰოფმანის პაპა ყაჩაღობისთვის იყო ჩამოხრჩობილი, წარმოდგენს საძაგელ და უზვირო ცილისწამებას.

ყოველ წესიერ ადამიანს ცუდ გუნებაზე დააყენებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ყოველგვარ საძაგლობას სჩადიან პოლიტიკური წარმატების მისაღწევად, არ ზოგავენ მიცვალებულებსაც. არცხვენენ მათ პატიოსან სახელებს. ჩვენ ვურჩევთ შეურაცხყოფილსა და აღშფოთებულ ხალხს დაუყოვნებლივ მოუწყოს თვით გასამართლება ცილისმწამებელს...“

უკანასკნელმა ფრაზამ, როგორც ჩანს, საჭირო შთაბეჭდილება მოახდინა: იმ ღამესვე ლოგინიდან წამოვარდნა და სახლიდან გაქცევა მომიხდა უკანა კარიდან, ხოლო „შეურაცხყოფილი და აღშფოთებული ხალხი“ ჩემს ბინაში შეიკრა, ფანჯრის მიხნა ჩამილეწა, ავეჯი დამიმტვრია და ზოგი რამ ჩემი ნივთებიდან თან გაიყოლა.



— გაწვალდა ჩემი თავმჯდომარე, რამოდენიმე წელიწადია საბჭოსათვის ისეთ შენობას ირჩევს, რომ მისასვლელი გზები კეთილმოწყობილი იყოს!
— შენობის არჩევა არაფერია, მისი თავმჯდომარედ ხელახლა არჩევა თუ არ გაძნელდა!

მიუხედავად ამისა, მე მაინც შემიძლია ყველა წმინდანი დავიფიცო, რომ არასდროს მისტერ ჰოფმანის პაპისათვის ცილი არ დამიწამებია. ის კი არა, მისი არსებობაც არ ვიცოდი და მისი სახელიც არ მსმენია.

ეს გახეთი ამიერიდან მხოლოდ „საფლაგების შემგინებელ ტვენს“ მეძახდა.

მალე ჩემი ყურადღება შემდეგმა წერილმა მიიპყრო: „დიდებული კანდიდატი!—მისტერ მარკ ტვენი, რომელიც დამოუკიდებელთა მიტინგზე გამანადგურებელი სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, მიტინგზე არ გამოცხადდა. მისტერ ტვენის ექიმის დევეშმა იტყობინებოდა, რომ იგი გაქანებულ ეტლის ცხენებმა გადათქერეს, რომ მას ორგან აქვს ფეხი გატეხილი, რომ იგი საშინელ ტკივილებს განიცდის და ბევრი სხვა სისულელე. მაგრამ გულში სადამოსვე გაღვილი სუბიექტი ოთხზე ფორთხვით შევიდა სასტუმროში, სადაც მისტერ მარკ ტვენი ცხოვრობს. დამოუკიდებელთა ვალდებულნი არიან რადაც უნდა დაუჯდეთ დაამტკიცონ, რომ ეს ცხოველი არ იყო ტვენი...“

თვალს არ ვუჯერებდი! როგორ შეიძლება, რომ ჩემზე ასეთი სახიზლარი ეჭვი მოეტანათ! სამი წლის განმავლობაში ჩემს პირში არც ლუდის, არც ღვინის და არც საერთოდ სხვა სპირტიანი სასმელების წვეთი არ ჩასულა.

[ეტყობოდა, დრომ თავისი გაიტანა და მე თანდათან ყოველივე ამას შევეჩვიე, რადგანაც განსაკუთრებული წყენა არ მიგრძენია, როცა ამ გახეთის შემდეგ ნომერში ჩემი ახალი სახელი ამოვიკითხე: „მისტერ ტვენი, მობარბაცე ლოთი“, თუმცა ვიცოდი, რომ ეს სახელი საარჩევნო კამპანიის ბოლომდე შემჩრებოდა).

მალე რესპუბლიკური პარტიის მთავარმა გახეთმა „მამნილა“ ამომჩვენებელთა მოსყიდვაში, ხოლო დემოკრატიცა ცენტრალურმა გახეთმა ფულის დანაშაულებრივ გამოძალდაში „დამიჭირა“.

[ამგვარად, მე კიდევ ორი სახელი შემერქვა: „ტვენი—თავის ამომჩვენებელთა მომსყიდველი, ბინძური თაღლითი“ და „ტვენი, გაიძვრა შანტაჟისტი“].

ბოლოს ყველა გახეთებმა ერთად ისეთი ხმაური დაიწყეს „პასუხის“ მოთხოვნა ჩემს მიმართ წამოყენებულ საშინელ ბრალდებებზე, რომ ჩემი პარტიის რე-

დაქტორებმა და მეთაურებმა გამომიცხადეს, რომ შემდგომში დუმილი დაღუპავდა ჩემს პოლიტიკურ კარიერას და თითქოს ამის დასამტკიცებლად და ჩემს წასაქებებლად, მეორე დილას ერთ-ერთ გახეთში ასეთე წეოილი დაიბეჭდა: „დახეთ ამ სუბიექტს!—დამოუკიდებელთა კანდიდატი დაჟინებით აგრძელებს დუმილს. მის მიმართ წაყენებული ბრალდებები მთლიანად მართალი აღმოჩნდა, რასაც კიდევ უფრო ადასტურებს მისი მქვერმეტყველური დუმილი. დახეთ ამ საძაგელ ცრუმოწმეს, მონტანელ ქურდს, საფლაგების შემგინებელს, უცქირეთ ამ თქვენს მოხეტიალე ლოთს, ბინძურ თაღლითს და გაიძვრა შანტაჟისტს“.

ამის შემდეგ ყურის წაყრუება უკვე შეუძლებელი იყო და თავის დამცირების ღრმად შეგრძნობით დავჯექ მთელ ამ დაუმსახურებელ, ბინძურ ბრალდებათა „პასუხის“ წერად.

მაგრამ ეს სამუშაო ვერ მოვათავე, რადგან მეორე დილითვე ერთ-ერთ გახეთში დაიბეჭდა ახალი საშინელი, ბოროტი ცილისწამება: მე სერიოზულად მდებდენ ბრალს საგიჟეთის დაწვაში, ვითომდა იმიტომ, რომ იგი ჩემ ფანჯრიდან ხედს აუშნობდა. ამის შემდეგ მომაწერეს საკუთარი ბიძის მოწამლევა ქონების ხელში ჩაგდების მიზნით და დაჟინებით მოითხოვდნენ გვაშის განკვეთას. მეშინოდა, არ ვიცოდი რომელ წუთს შევიშლებოდი ჭკუაზე. ბოლოს, მოწინააღმდეგე პარტიათაგან ჩემმა დევნამ უშაღლეს წერტილს მიაღწია: ვილაციის ჩაგონებით, ყველა ფერის კანიანი დაძონძებიანი ცხრა ბავშვი შემოცოცდა ტრიბუნაზე წინასაარჩევნო კრების დროს, ჩამომეკიდნენ ფეხებზე და მორთეს ყვირილი: „მამა!“

მეტ ველარ გაუძვლი. დროშა დაგუშვი და დაენბედი. აღმოჩნდა, რომ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის თანამდებობისათვის საარჩევნო კამპანია ჩემს ძალღონეს აღემატებოდა. მე დავეწერე, რომ ეხსნი ჩემს კანდიდატურას და ცხელ გულზე მოვაწერე: „პატივისცემით თქვენი“, ოდესღაც სინდისიერი კაცი, ხოლო ამჟამად:

საძაგელი ცრუმოწმე, მონტანელი ქურდი, საფლაგების შემგინებელი, მოხეტიალე ლოთი და ბინძური თაღლითი“.

*) იბეჭდება უნიშვნელო შემოკლებით.



საბრძოლო საცხოველ სემის განხარა
 დაცემისთვის ჩვენს მხარეს ა. ანთონის
 სურვილი დიხედოთ კლიმისა და სემ
 წახეხნა, "ნანია" მოკლული ციხე, წა-
 ხელით და პარტენა უნ შეტყუებინა მთა-
 იფს სასიძო მსავლურიონი პირიანა.

მას სიხი მსავლეს ილი ემაღლები
 ამერკული ანტრენარიათა მი: სემს ე. წ.
 „სერიაზოზის ციხის“ პირიანა, ეს გა-
 ხაბეცია: უღმერობისა და კლინადას რე-
 პუტიკის მქონე დია სემს ახლა საკმაოდ მე-
 დარი რეპერტუარი განაია ამ დარმა.

ამ სურათზე წარმოდგენილი საცხოველ და-
 სის „პირადად“ აწეხს ცენტრიდან: დამე-
 ლფენებლი კლიონი დია სემს აქ წარმოდე-
 ნილია, როგორც ცხოველია მწერონელი, რი-
 მელიც წარმტებით ვერცხებს ხიფს და ბი-
 ლილის ჯიშს გაწერონელი ვინცხს ქაღა-
 ლის რკალში პირიანა. მის გვერდით, ვერცხე
 ჩაბრუნებული მრტომული ლიმა ახრულეს
 მსხვიის დახმასისადაც მწერის (პირიანად
 იბოლულის სესსი).

ცენტრში დია სემს ვიწვევებს პირიანის
 საცხოველ ნიშნის, იგი ახრულეს ამპირალი-
 ტური კვინების მსავლულ დელტატებს ვერ-
 თიანებული ცრებს სახლუნი ამერიკის
 დელუციის მიერ ახმანილი წინადადებე-
 ბისთვის ხის მსხვედრად, ჩასეცხნი იქი: სა-
 ცხოველ ახრულდებენ.

მარჯვნივ—ტრაპიკიანე ცირამალ დეადე-
 ბული მსხვი მარშლი ახრულდეს სახიდალი
 ნიშნის: მის ცხოველით უწერავს აპირიის რე-
 კიცია, ილი მათ გვერდით საფრანგეთის ბერ-
 ვუაის ახალი კლიონი დეადელი ვიწვევებს
 აკრიბატის ომეია ნიშნის: იგი მხოლდებს
 დრეად კოჩე ზვით, მაჰლიის ვიწვევებს
 მხოველისაქენ.

რაც შეეხება ნახტის მარცხენა მარგს, აქ
 ჩვენს მკითხველი ვინცხრტობლივ მხოველია
 წარმოგვიწილი კლიონადას აქედან მარჯვლი
 ვახლავი ვაწყენა ციხის ოაღის კვებ—ე. ა.
 პოლიმეოიდან დარსაკითი ვერცხილი ია-
 მხიბი მიკლიოიტიო ზება ახმლის რეკიცი-
 ლო წყეუხს ხაქანულზე. მის დაწერილი აქა-
 რელი აკრობატი მუდინ უწინა ალი ვიწვე-
 ვებს „ბაღმის ხელაქნებას“—ანუ დია სემს
 სტრეონიების საწუველით იყავს ვინაზე
 დურბი წინაწარმისა. აქვე დახმარებელი
 მანქალატორი ვახაქი (იდეი ვახიდი) ილი-
 ხინა, ვახმარებლის მარტის შემდეგ დამკვი-
 თა ხამქნად იგი ცარილი წადუდიან უმ-
 ვებს ახვის კუცებს.

მეტად სახიფათო ნიშნის: პირისხლიანი
 ვინცილირი. ეს ხამქნაქიის დარსის მინ-
 ვარული კლიონი კლიდარისი ვახლავი,
 როგორც დია სემს მიერ ნაწყარი ხამტის
 წყერზე უწიღარი აჰამანებს თავისკლებს.
 მკითხველებს ვერცხე მინე ახლადებე-
 ლად თუღონ ამ ანაბოზს, რადგან რაც არ
 უღია ჩოლნი იყოს, ის მინეც მია სემს საც-
 ხოველია.

ს. კვიციანი



პენიცილინი



ძველად აფთიაქებიდან გასაცემ წამლებს დრახმებით წონიდნენ. შემდეგ გრამები, დეციგრამები, სანტიგრამები და მილიგრამები შემოიღეს.

ცხოვრება წინ მიდის. აფთიაქებიც არ ჩამორჩნენ ამ საერთო წინსვლას და ამჟამად ზოგიერთი წამლის გაზომვა მილიონი ერთეულებით დაიწყო. ასეა კერძოდ პენიცილინიც. ახლა მოდაშია ყველაფერის პენიცილინით მკურნალობა. რამდენ დაავადებას უხდება პენიცილინი, ძნელი სათქმელია, პატარა მუწუკიდან დაწყებული—სახსრის ღრძობამდე და ჭიპის თიქრამდე—ყველაფერისათვის პენიცილინს ეტანებიან!

ამ წამლის დადებითი თუ უარყოფითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიც არ უნდა მიიღოს კაცმა, არ აწყენს. ამის გამო ზოგიერთი ექიმი ამ წამალს მილიონერთეულობით უნიშნავს ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც პენიცილინი სულ არაა საჭირო.

პენიცილინი მოთხოვნილება გაიზარდა, რადგან მას სრულიად უსაფუძვლოდ და დაუმსახურებლად გამახალგაზრდავებელ თვისებასაც კი მიაწერენ. ამიტომაც, რომ თითქმის ყოველი ავადმყოფი პენიცილინის გაკეთებას მოითხოვს.

შეიძლება ზოგჯერ საავადმყოფოში არ იყოს პენიცილინი, მაშინ ჩამოვლის დროს ექიმი ჩაილაპარაკებს თავისთვის, ავადმყოფისა და მისი ახლობლების გასაგონად (როცა ავადმყოფი მომაკვდავია, თავის დაზღვევის მიზნით).

— პენიცილინი რომ იყოს—უშველიდა.

— იწყება პენიცილინის ძებნა.

ზოგჯერ საქმე კურიოზამდეც კი მიდის. მოთხოვნილებას პენიცილინი სწერს თითქმის ყველა დაწესებულება. უწოდებენ მას პელიცილინს, პენიციინს, პელიციინს და მრავალ სხვას.

ამას წინათ ერთმა ნაცნობმა ექიმმა შემომჩივლა:

— ეს პენიცილინი ყველაფერს არჩენს, მაგრამ მე ნამდვილად მომკლავსო. ჩემს სოფელში ასხუთი წლის დედაბერი სიბერით გახდა ავად და იმისთვისაც პენიცილინი მოითხოვეს.

დეპუტატი ეწერა: „ელაბიტი მწუხარება. ლუკას გადაეცი ცოცხალს ჩამოუსწროს, სულიერს მოუსწროს. გამოატანე ორი მილიონი მანეთი პელიცილინი და ერთი შტოფი ნუგელი. ფედოსი“.

ტელეგრაფს კი არა ამ ახალი წამლების სახელები ბევრ განათლებულ კაცსაც კი ეშლება.

— მარტო სახელის შესლაში კი არაა საქმე. ტელეფონით პენიცილინს გაიძახიან, დეპუტით ამ წამლის გაგზავნას იწერებიან, წერილით პენიცილინს მოითხოვენ. ნერვები ამიშალა პენიცილინმა და მეტი აღარ შემიძლიან. — აღეგებით დაამთავრა. საუბარი ექიმმა.

ჩემს ნაცნობ ექიმს აშლილ ნერვების დასამშვიდებლად მეც პენიცილინი უფრჩიე.

მენი



— არაფრად ვარვა თქვენი ნომრები!

— არც თქვენი ნომრები ვარვა ამხანაგო მსახიობო, ტყუილად დავკარგე გუშინ 20 მანეთი.

ყვავილების მაღაზიაში

ნახ. როკითელისა

1. გაჩერება დარბოდა და ტრამვაი ჩერდებოდაო.
2. კამეიდველის თითი ას გრამს იწონისო.
3. ქაფი აბანოშიც რჩებაო.
4. ხორცი ბაზრელ სეფესაო, ქვალი—მომხმარებელსაო.
5. ვისაც ფერძის გამკე არ უნახავს, კამეჩის მოყვანილობა გაუკვირდებაო.
6. გამკის ნორმა ოთხ კამეიდველს ეყოფაო.
7. გამუღანგველს განახენს უკითხავდნენ და არტულის თავმჯდომარეობაზე ფიქრობდაო.

შეკრიბა შინამ



— თუ შეიძლება, ყვავილები მიბოძეთ, მისალოცად მიწა.
— ყვავილებს ცალკე არ ვყიდით, გვირგვინს მოგართმევთ.

ერთხელ, გამოჩენილ სარდალს გენერალ პეტრე ბაგრატიონს გამოეჭიმა პაჭუა ადიუტანტი და შეშფოთებით უპატაკა:

— თქვენო ბრწყინვალეობა! — ნაპოლეონის ჭარმა გზა გადაგვიჭრა, საფრთხე მოგვედის, მტერი ცხვირწინ არის!

ბაგრატიონმა (მას დიდი ცხვირი ჰქონდა) ღიმილით მიუგო:

— თუ მტერი შენს ცხვირწინ არი, მართლაც საფრთხეში ვყოფილვართ, მაგრამ თუ ჩემს ცხვირს გულისხმობ, მაშინ სადილობასაც მოვასწრებთ!

ხასიათის გამოცდოვა

ფრანგ მწერალს ჰონორე დე ბალზაკს ნაცნობმა ქაღმა მიუტანა ბავშვის ხედნა-წერი. ბალზაკი ცნობილი იყო ხედნაწერის მიხედვით მისი ავტორის ხასიათის გამოცნობითაც. მან დიდხანს ათვალიერა ხედნაწერი და სახეზე აშკარა უსიამოვნება გამოეხატა.

— შეგიძლიათ არ მომერიდოთ, — უთხრა ქაღმა, — მაგისი დამწერი ნათესავად არ მომხვედბა.

— თუ ასეა გუდახდით გეტყვით, — მიუგო ბალზაკმა, — ამისი დამწერი ზარმაცი და უპიროა, პატრონებმა ყოველი მისი ნაბიჯი უნდა შეამოწმონ, თუ არ სურთ ოჯახი შეირცხვიროს.

ქაღმა გულიანად გაიცინა:

— უცნაურია, — მე ხომ თქვენი მონაფეოების რვეუდის ფურცელი მოგიტანეთ?

ყველაზე მოკლე ინტერვიუ

იტალიაში მყოფ მაქსიმ გორკისთან ვრცელი ინტერვიუსათვის გამოცხადდა იქაური გაზეთის კორესპონდენტი და შეეკითხა:

— სენიორ გორკი! — ხმები დადის თითქოს თქვენ კაპრიდან წასვლას აპირებდით, რამ გაიძულებათ ასეთი გადაწყვეტილება მიგელოთ?

— ინტერვიუებმა, — მიუგო მ. გორკიმ და ანიშნა, ინტერვიუ უკვე დამთავრებულიაო.

კრიტიკოსის გზა

ძველი საბერძნეთის ტირანმა დიონისიმ ციხეში დაატუსაღებინა ბრძენი ფილოქსენი იმის გამო, რომ იგი ცუდად იხსენიებდა დიონისის მიერ დამწერიდ დექსებს.

გარკვეული დროის შემდეგ, ტირანმა გაანთავისუფლებინა ფილოქსენი, მიიწვია სასახლეში და კვლავ დაუნყო თავისი დექსების კითხვა. ფილოქსენმა მოისმინა პირველი სტრიქონები, წამოდგა და წავიდა.

— სად მიხვად? — შეეკითხა დიონისი.

— ისევ ციხეში, — მიუგო ბრძენმა.

ძველი ჟურნალებიდან

— შინი ცოლი პირჯულად სად გაიცანი?

— რკინიგზაზე.

— ჰო, აი დალასვრთს ღმერთმა! სუყვალა მაგვარაი უბედურება რკინიგზებზე მოსდება ხოლმე.

— თს, ბბბბბბ, აბ ბბბბბბბბ, რომ დღეს ჩუმმა ცოლმა მოშა..

— ვაჟი?

— არა!

— ბაშ დალი?

— ბიჭოს! შინ საიდან იცი?

— ?!?

ერთმა ბოსჯღმა დღესაცმა ბობბბ-გაბულ-ბოსამართლუსთან იჩივლა:

— შვილები არ შინასავინ და ბუუ-ბნუბიან, რთცა ბოვვვდუბი — არ დაგმარსავთო.

— შინ ბიბბბბბდი, დედი, — უპასუხა ბოსამართლუკ. — შინს შვილებს დაგვავალუბ, რომ რთცა ბოვვვდუბი, დაგმარსავთ.

— რთცა არ დაგმარსავთ, შინი ჭირიში?

— ბაშინ სელასლად შუბბბბბბ სწირვარბ.

ქილეს სჭრის და ქილეს ჰქარავს (ახალციხე)

მე „საქვარობის“ მუშაკი მანასვი ვარ გვარადა, მრავალ „სახაულომოქმედი“ სხვას არვის ვაგდებ არადა. თანამშრომლებად, იცოცხლებო, მე ხალხი მყავდეს საყოფი, მათ შორის ოცდაათობმეტი — პასუხებში ნამყოფი. მეუბნებიან: მოხსენი აბგარ, არდო და პეტროსა, — მაგრამ ამაზე ფიქრისთვის სულაც არ ვკარგავ მე დროსა. როდი ვხსნი, ბოროტმოქმედნი გადამყავს აქ — ეს, იქ — იხა, რადგან მწამს: პატუვისცემამ — პატუვისცემა იცისა.

ვლადიმერი და ნოე

უსპარი ქ. მახარაძე

აქ, ქალაქის სალაროში საგულეში უშევთ გული, „ბილეთები აღარ არის“ წარწერა გამოკრული... მგზავრებს თავი მოუყოლიათ, ესმის მათი განაჩენი: — ათი არც კი გაყიდულა, სად წავიდა დანარჩენი? „გულმოხული“ მოლარენა გამოყოფენ გარედ თავებს: — ყველა თქვენ რომ დაგირიგოთ, რაღა ვუყოთ ნათესავებს?.. სწორედ ამ დროს, ქუჩის ბოლოს კაცო დადის წყნარად, მშვიდად, მატარებლის ბილეთები ჯიბეში აქვს გასაფიქრად... თითქმის ორმაგს გვახდევინებს, ფულს აგროვებს ნება, ნება, როცა ვკითხავთ: — სიდან მოვაკვებ? „ვმოულობხო“ — გვეუბნება...

ბ. შვარია



საბურთალოს ბაზარზე

სახელმძღვანელო ნიგნავის მოთქმა ბაზარზე

ბაზარად წიგნი რომ შეგხვდება, უამრავი ფიქრი გავსებს, როგორც შვილი — მომვლელ დედას შეგლადადებს წიგნი ანე: — „აღარ ვბრწყინავ მარგალიტად, კანი როგორ დამლაქვია, ძმაო, მითხარ, აქ რა მინდა, აქ რა ჩემი ალაგია? „სახელგ. ში“ მფარველობდა, სკოლსაკენ მაგზავნიდა, ო, ამას კი არ ყვლოდი, ნეტავ გაგჩნდი აქ ხაიდნ? ჩემს ყიდვასაც ეცდებიან, მოწაფენი წინ მხედებიან, მაგრამ ჩემს ფასს ვერ სწვდებიან, — ეს რა ჩემი წილ-ხედრია? რას მგავს ჩვენი თავფურცელი, ჩვენ ეს ბედი რად გვწვევია!“ — მათს მოთქმას ვერ გავფიქრდი და გავშორდი „თვალტყრემლიანთ“.

ირაკლი არაბუღლი

თელავის ავტობუსების იმედით

ჩაველ თელავის სადგურში, მხრები გავშალე ლალად, იქაურს ვკითხე: ქალაქში რითი წავიდე ახლა? — შოფერს „თხუთმეტი“ აჯახე, ელვის სისწრაფით ჩანგალ! გზისპირად „სტუდენტური“ იდგა, მგზავრებით სავსე, შოფერს რომ ვთხოვე წაყვანა, მან მიპასუხა ასე: — მანქანა უკვე გავქედე, ხომ ვერ დაგისვამ თავზე? აჰანდგე, ავტობუსების ბილეთს ჰყიდვიან ეგერ, სალაროში ვერ აიღებ, ხელზე იყიდო ეგებ. მიველ... ბილეთი სად არი? ვხედავ სალაროს საკეტს, — გადამყიდველის ხმა მესმის: — აქეთ, ბილეთი აქეთ! ეს ავტობუსთა მუშაკებს რად ესმით იანანად? „განზე“ გაყიდულ ბილეთში ხეირს ხედავენ განა!

ვეფლიან მარიაშვილი


როგორ გამდიდრდა ვაჭარი სემი

(ამერიკაში არაბ-მართალი)


...მეორე მსოფლიო ომის წლებში ამერიკის მრეწველობა სწრაფად გაიზარდა და კაპიტალისტებს აძლევს უდიდეს მოგებას, ხოლო სახელმწიფოს — შემოსავალს, რასაც ახლა ამერიკის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი იყენებს თავისი ზეგავლენისათვის ყველგან — ევროპასა და ჩინეთში, საბერძნეთსა და თურქეთში, სამხრეთ ამერიკასა და შუა აღმოსავლეთში...

3. მ. მოლოტოვის მოხსენებიდან მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1947 წ. 6 ნოემბერს.

ნახ. დონისა.




1. იყო ერთი მდიდარი ვაჭარი, სახელად სემი. ააგო ხეში ახანთის ფაბრიკა. ააგო ფაბრიკა, მაგრამ ახანთს არაფერი ყიდულობდა.



2. დაუძახა ხეში მეზობელს:

— შანსი, ხომ ხედავ მეზობელი ადამიანს გიპირებს. — იცრუა მან. — გუშინ ასლანმა ხუთი ვაგონი ახანთი წაიღო. ჩემგან, შანსი ცეცხლი უნდა წავუკიდოო. შენ რას იზამ?


— მომეცი ათი ვაგონი ახანთი! — სთქვა შანსმა.



3. ეს ამბავი ასლანს არ გამოპარვია.

— რატომ წაიღო შანსმა იმდენი ახანთი? — იკითხა მან.


— რაღა დავიმალო, შანსი ცეცხლს წაიღებდას გიპირებს. მთხოვა არ გავცე, მაგრამ ხომ იცი, რომ შენ უფრო მიყვარხარ და არ გაგწირავ. წაიღე ერთი ოცი ვაგონი ახანთი...



4. — რად უნდოდა ასლანს დამატებით რომ იმდენი ახანთი წაიღო? — იკითხა შანსმა.

— შენს გადასწავად. ასლანი და ვარსანი შეთანხმებულან, შენს აფეთქებებს აპირებენ. ჭკუას თუ მოიხმარ და ჩემი ახალი ქარხნიდან ხუთ ვაგონი თოფისწამალს იყიდი, არ დაიდუბება. ხომ იცი როგორ მიყვარხარ, არ მინდა გაგწირო.


— მომეცი ათი ვაგონი თოფისწამალი!



5. — ჩემი მეზობლები რაღაცას ფართი-ფურთოებენ, ხო! არ იცი რას აპირებენ? — იკითხა ვასლანმა.

— ემ, შენ ხაცოდავო, კიდევ კარგი დროზე მოხვედი! შანსმა და ასლანს შენი გადაბუკვა უნდათ და გაფაციცებით ემზადებან. ჭკუა მოიხმარე, წაიღე ათი ვაგონი თოფისწამალი!

— მომეცი, შტონო!



6. — შანსი, თავს უშველი, ახალი ქარხანა ავაშენე და ვასლანმა ოცდაათი ცალი ყუმბარა დამიკვეთა. შენთვის ოცდაათი ათასი ცალი განსაკუთრებული ფეთქადობის ყუმბარა მიქვს შენახული. ხომ იცი, არ გაგწირავ!

— არიქა, მაშველი, შტონოო.

(ისიღეთ თავიდან)

საქმედების კოლმგობა: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ზაზალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 3/XII. № 3. ზედათ სან. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. გზამკ. № 114 შფ. № 1516 ტირ. 7500 უფ 14248.